ტფილისი

№ 62
მარტის 18, სამშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 62
მარტის 18, სამშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ მარტიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთი და 75 კაპ.

რადგან იანვარში შეცდომით იყო დაბეჭდილი, რომ გაზ. „ივერია“ ნახევარ წლით ჰღირს 6 მ. 50 კაპ., იმის მაგიერ, რომ ყოფილიყო—6 მ., ამიტომ აქ ვბეჭდავთ დაწვრილებით, რამდენს თვეს რა ჰღირს გაზეთი: 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

თავადნი დიმიტრი და ალექსანდრე ნიკოლოზის ძენი ჭავჭავაძენი და მარიამ ნიკოლოზის ასული კუკოლ-იასნოპოლსკისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა ამა მარტის 17 ს გარდაცვალებას თავიანთ მამისა

თავ. ნიკოლოოზ დიმიტრის ძის ჭავჭავაძისას.

პანაშვიდი იქნება ყოველ დღე ნაშუადღევის 1-ლ საათზე და საღამოს 7 საათზე, ერევნის მოედანზე, სახლი თ. სუმბათოვისა. გასვენების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული გაზეთში. (3—1)

უმთავრესი კანტორა დ. ზ. სარაჯიშვილისა ქ. ტფილისში აცხადებს, რომ საუკეთესო ვენახების

კახური ღვინის

შესანახად და დასაძველებლად, 1903 წლის 1 იანვრიდგან დაქირავებულია სარდაფები **პეტრუსა მაკაროვისა.** კანტორა და მაღაზია ღვინის ვაჭრობისა იმავე სახლშია (ოლგის ქუჩა, ტელეფონი № 150).

ღვინოები ისყიდება 25 კაპ. დაწყებული ბოთლი.

ნარდად მსყიდველთ და მუდმივ მუშტარს ნაკლებად მიეცემა; ათ ბოთლზედ ნაკლები თუ არ მოითხოვა მუშტარმა, ღვინოს კანტორა სახლშივე თვითონვე მიუტანს.

ღვინო ისყიდება:

საწყობში—გოლოვ. პროსპ. სახ. დობრჟანსკისა, ტელეფ № 595.
დეპო № 2, თავ. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ ტელეფ. № 210
დეპო № 1, სასახლის ქუჩა, საკუთარი სახლი, ტელეფონ. № 60.

კავკასიის აფიც. საზოგ., რკინის გზის მოხელეთა მომხმარებ. საზოგადოებისა, შაქიევისა, მანიევისა, აკოფოვისა და სხვა საგასტრონომიო მაღაზიაში. (25—6.—8)

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

აქვე მიიღება შესაკერად

კაბა-ანაფორა

და სხვა სასულიერო სამოსელი.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა.**

№ 45—5 ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 20 მარტს

ჰენრიხ იბსენის პატივსაცემლად

ქართულ დრამატიულ დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ნუცა ჩხეიძეს მონაწილეობით

პირველად ქართულ სცენაზედ

I

ნორა

დრამა 3 მოქ. ჰენრიხ იბსენისა, თარგ. ა. ცაგარლისა.

II

დედის ერთა

კომედია 1 მოქ.

Ш

აპოთეოზი

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, რიონელი, ბნ-ნი გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, როანიშვილი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „ქეთევან წამებული“ „მედია“.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

კბილის ექიმი

ივანე ჰავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმეღღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ხუთშაბათს, 20 მარტს, საღამოს 8 საათზედ, სამხედრო შტაბის დარბაზში დანიშნულია

საზოგადო კრება

კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების წევრთა ამ კრებაზედ ნამდვილი წევრი საზოგადოებისა კ. თ. განი წაიკითხავს თავის მოხსენებას დაღესტნის უმაღლეს ადგილებზედ მოგზაურობის შესახებ. არა წევრთ შეუძლიანთ კრებაზედ დასწრება უფასოდ. (3—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქროვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. აველტიხიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. ზქელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფიბანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუზეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—$7^{1}/_{2}$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. $7^{1}/_{2}$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 სათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხოთშ. და შაბათი. $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.

ა. ზ. ბარხუდოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—- საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

ზრ. მ. ხოზოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიღკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტეოიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი **ზ. დ. ნასარიძე.**

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით კტრაოები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

ოფიციალრი განცხადება

უწესოებათა შესახებ

ბათუმში.

გაზეთ „კავკაზ.“-ში დაბეჭდილია:

ქალაქ ბათუმში, 9 მარტს, დილით, დიდძალმა მუშებმა თავი მოიყარეს სადგურზე იმ დროს, როდესაც მატარებელი უნდა წასულიყო. მუშები შეიკრიბნენ იმ ვექილების გასაცილებლად, რომელნიც სამართალში მიცემულ მუშებს იცავდნენ. როდესაც მატარებელი დაიძრა, ბრბომ ააფრიალა დროშა და „ურას“-ს ძახილით ლიანდაგის აქეთ-იქიდან მატარებელს გაჰყვა.

რაიმე უბედურების თავიდან ასაცილებლად, მემანქანემ მატარებელი გააჩერა, რომელიც, რამდენისამე წუთის შემდეგ, ხელ-ახლა დაიძრა, როდესაც ხალხმა ლიანდაგი დასცალა.

სადგურიდგან ხალხი მარსინის პროსპექტით გაემართა. გზაზე მუშებმა რამდენიმე დროშა კიდევ ააფრიალეს. ამ დროშებზე მთავრობის საწინაალმდეგო წარწერები იყო. პროსპექტზე რამდენჯერმე კიდევ გაისროლეს რევოლვერები, მაგრამ ვნება არავისთვის მიუყენებია, მხოლოდ ჩაამტვრიეს ფანჯარები „ჩერნომორსკი ვესტნიკ“-ის რედაქციისა ბ-ნ ერნისა და ამერიკის ელჩის სადგომებში.

ამის შემდეგ, როდესაც დაინახეს სამხედრო რაზმის მოახლოვება, ხალხი დაიშალა.

ბაქოში.

ქალაქ ბაქოში, 2 მარტს, დილის თორმეტ საათზე, მარიინის ბაღის მახლობლად დაიწყო თავის მოყრა ხალხმა, რომელიც ყვირილით პარაპეტისაკენ გაემართა, თან გზაში მთავრობის საწინაალმდეგო შინაარსის პროკლამაციებს ისროდა; ასეთსავე პროკლამაციებს ზოგიერთ სახლების ფანჯარებიდანაც ისროდნენ. პოლიციამ, ყაზახთა დახმარებით, ხალხის ნაწილი გაჰფანტა, მეორე ნაწილი მარიინის ბაღამდე მივიდა და შეუერთდა იქ უკვე თავ-მოყრილ მანიფესტანტებს. აქ ბრბო ჰყვიროდა და პროკლამაციებს აბნევდა, ამასთან ქვებს ესროდა პოლიციას და ყაზახებს, ხოლო შემდეგ, როდესაც პოლიცია და ყაზახები შეკრებილთა გაფანტვას შეუდგნენ, ხალხი მარიინის ქუჩით, პეტროვის მოედნისაკენ გაემართა. მარიინის პროსპექტზე ერთი წუთით წითელი დროშა ააფრიალეს.

მეორე ბრბო კრასნოვოდსკისა და მერკურიევის ქუჩების კუთხიდან სალდათის ბაზრისაკენ გაემართა. მაგრამ იქვე მყოფ რაზმის უფროსის მიერ მიღებულ საშუალებით გაჰფანტეს, ამასთან რამდენიმე კაცი საზღვაო სასწავლებლის ეზოში შეაგდეს, სადაც დააპატიმრეს კიდეც. ბრბოდან გასროლილ ქვით ერთი ყაზახი თავში დაიჭრა.

რადგან ბაქოს გუბერნატორი ქალაქში არ იყო, გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი, ვიცე-გუბერნატორი დ. ს. ს. ლილეევი ბრბოსაკენ გაემართა, ბარიათინსკის ქუჩაზე შეხვდა იმის ნაწილს და წინადადება მისცა დაშლილიყო, რაც ხალხმა შეასრულა კიდეც. ამ დროს მარიინის ქუჩაში გამოჩნდა მეორე ბრბო. ვიცე-გუბერნატორი ამ ბრბოსაკენ გაეშურა, მაგრამ ამ დროს პეტროვის მოედნიდან მოესმა ორჯელ გასროლილ რევოლვერის ხმა; გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი გადმოვიდა ეტლიდან, გაემართა დასახელებულ მოედნისაკენ და რჩევა დაუწყო ხალხს—უწესოება მოესპო. ამ დროს დ. ს. ს. ლილეევი მსუბუქად დასჭრეს თავსა და ხელში. როდესაც მახლობელ კერძო სახლში ექიმებმა ჭრილობა შეუხვიეს დ. ს. ს. ლილეევი ხელ-ახლა შეუდგა ქალაქში სიარულს და განკარგულების მოხდენას უწესოებათა მოსასპობად.

ნაშუადღევის ორის საათისთვის ყველაფერი დაწყნარდა.

იმავე დღეს, ნაშუადღევის მეხუთე საათზე, ბალახანაში, ბრბო, რომელშიაც დაახლოვებით 2,000 კაცი იქმნებოდა, შეიკრიბა ვოლჩინის პრომისლებზე და დაიწყო ყვირილი და ხმაურობა, მაგრამ მოსულმა პოლიცმეისტერმა ურჩია შეკრებილთ დაშლა და მეშვიდე საათზედ ბრბო დაიშალა.

უწესოების დროს ბაქოში შეიპყრეს 21 კაცი; ამათგან 18 კაცი გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელმა, სახელმწიფო წესიერების დაცვის დებულების თანახმად, დააპატიმრა ბაქოს საპყრობილეში, ხოლო სამი—ორი რეალურ სასწავლებლისა და ერთი მიხეილის საქალაქო სასწავლებლისა მოსწავლე, გადაეცა სასწავლო უწყებას.

სია იმ პირთა, რომელნიც კავკასიის მთავარ-მართებლის სავალდებულო დადგენილებათა დარღვევისათვის, ბაქოს გუბერნატორი განკარგულებით დაპატიმრებულ იქმნენ, თანახმად წესიერების გაძლიერებულ დაცვი მე-15 მუხლისა:

სამის თვით: 1) ქ. შუშის მცხოვრები, ბაგრატ გალუსტის ძე ავაქიანცი, 2) ქ. ასტრახანის მოქალაქე, ვასილ დიმიტრის ძე დრობიშევი; 3) ქ. შემახის მცხოვრები, არტემ ბახიშას ძე დადაევი; 4) სპარსეთის ქვეშევრდომი, ქ. თავრიზის მცხოვრები, ავეტის კაპიელის ძე კაპრიელოვი; 5) გეოქჩაის მაზრი სოფ. შტალის მცხოვრები, ბაგრამ ბახიშას ძ ბაგრიანცი; 6) ტვერის გუბერნიის, ნოვოტორჟსკის მაზრის, ქ ტორჟსკის მცხოვრები, ილია ექვთიმეს ძე ნოვოსელცოვი; 7) ტამბოვის გუბ., ელატომის მაზრის, სოფ. პენკის მცხოვრები, სტეფანე დენისის ძე სიდოროვი; 8) კოლეჟ. ასსესორის შვილი ნერსე ნიკიტის ძე ნავასარდიანი.

ორის თვით: 9) ზანგეზურის მაზრის მცხოვრები სერგო ბალდასარის ძე ასრიევი; 10) ნახიჩევანის მაზრის მცხოვრები, ალექსანდრ სარდარის ძე აირაპეტიანცი; 11) ხერსონი გუბ. მცხოვრები მოსე მაქსიმეს ძე მალჩენკო 12) მოგილევის გუბ. მცხოვრები, შაველ შაიკუნიკ; 13) ვიტებსკის გუბ. მცხოვრები, ხაი მორდკოვის ძე კოგანი; 14) ქ. ალექსანდროპოლის მცხოვრები, ილია სიმონის ძე ფატიევი.

ერთის თვით: 15) ახალქალაქის მცხოვრებ ოჰანეზ მიკირტის ძე ჩარუხოვი; 16) სპარსეთის ქვეშევრდომი, ათანას კარაპეტის ძე მიკირტიჩიანცი; 17) შუშის მცხოვრები, არმენაკ არკადის ძე ტერ-სარქისოვი; 18) ზანგეზურის მაზრის სოფ. გერუსის მცხოვრები დავით არაქელას ძე ხურშუდიანცი.

ტფილისი

✦ კვირას, 16 მარტს, ქვაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში, წირვის შემდეგ, გადახდილ იქმნა პანაშვიდი განსვენებულ პოეტ გრ. აბაშიძის სულის მოსახსენებლად. ამ დღეს მწირველი იყო მღვდელი დეკანოზი ე. ელიაშვილი ქალაქის სამღვდელოებით. მამა ელიაშვილმა სიტყვა წარმოსთქვა განსვენებულ პოეტის შესახებ. პანაშვიდს დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო: ტევა არა თუ საყდარში, გალავანშიაც არ იყო. სხვათა შორის, პანაშვიდ დაესწრენ წარმომადგენელნი ადგილობრი ჟურნალ-გაზეთებისა, თავად-აზნაურობის, დრამატიულ საზოგადოებისა, წ. კ. გ. საზოგა ბისა და სხ.

✦ დღეს, 18-ს მარტს, ამიერ კავკასიი რკინის გზების მოძრაობის უფროსის თანაშემწე, ალ. მიხ. ბულდაკოვი ტფილისიდა ხარბინს (მანჯურიაში) მიდის, სადაც იმავ თანამდებობას აღასრულებს.

◆ ამ დღეებში ბრაილოვის მაღაზიას (გოლოვინის პროსპექტზე) მოუვიდა რამდენიმე ეკზემპლიარი ბარცოვის რომანისა „ბველა-შაპები“, ფასი 1 მ. 50 კ. რომანში გამოსახულია მრავალფეროვანი ტფილისის საზოგადოება, რუსობა, სომხობა და ქართველობა.

◆ 9-ს ამ მარტს, როგორც ჩვენ გაზეთში მოხსენებული იყო, რკინის გზების მომხმარებელთა საზოგადოების გამგეობამ თვის თანამდებობას თავი დაანება იმიტომ, რომ მისგან წარდგენილი წლიური გასავლის სმეტა საზოგადოების წარმომადგენელთა კრებამ არ დაამტკიცა და 13,000 მან. დაუკლო. ახლად ამორჩეული გამგეობა უკვე შეუდგა თავის თანამდებობას, მაგრამ პირველ დღეებშივე დარწმუნდა, რომ ძველი გამგეობის სმეტა შესამოკლებელი არა ყოფილა.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს სეკრეტარი, ბ-ნი ააშარვი, რომელსაც უმაღლესი იურიდიული განათლება არ მიუღია, სიღნაღის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ დაუნიშნავთ.

◆ ტფილისის მაზრის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწედ დაუნიშნავთ ბ-ნი კეზერია და კ. პაშიკოვი ქუთაისის მომრიგებელ მოსამართლედ გადაიყვანეს.

◆ რამდენიმე თვის წინად გაზეთებში გამოცხადებული იყო, რომ ერთი ახალგაზრდა მოსწავლე ყმაწვილი ვართან ეგიაზაროვი დაიკარგა, ახლა გვაცნობებენ, რომ ტფილისის მესამე ნაწილის პოლიციის კანცელარიაში კვალი უპოვნიათ და როგორც ეტყობა, ეს ყმაწვილი ვიღაცას მოუტყუებია და მერე მოუკლავს.

◆ გუშინ, შუადღის 1 საათზე, უცებ გარდაიცვალა ნიკოლოზ დავითის ძე ქავქავაძე, როდესაც კიბეზე ადიოდა თავის სადგურში.

◆ „კავკაზ“-ის სიტყვით, სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტის შეერთებულმა კრებამ 13 მარტს საჭიროდ დაინახა, რომ ამიერ-კავკასიის პოლიციის დარაჯთა რიცხვი იმდენივე დარჩეს, რაც აქამდე იყო. დარაჯთა შესანახი ხარჯი უნდა გადაიხადოს ერობამ, ამასთანავე ხაზინამ იმდენი შემწეობა უნდა აღმოუჩინოს ერობას, რამდენსაც დაადგენენ მომავალ სამის წლისათვის ამიერ კავკასიის საერობო ხარჯთ-აღრიცხვის დროს.

◆ 23 მარტს ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების წევრთა კრება. სხვათა შორის, კრება განიხილავს საზოგადოების 1902 წლის მოქმედების ანგარიშს; აგრეთვე მოისმენს სარევიზიო კომისიის წევრთა მოხსენებას.

◆ მოკლე ხანში პირუტყვთა მფარველი ტფილისის საზოგადოება შეუდგება თავის წესდების გადაშინჯვას. საზოგადოებას აზრადა აქვს გააფართოვოს თავისი მოქმედება.

◆ 28 მარტს სამეურნეო საზოგადოების სადგომში დანიშნულია წლიური მორიგი კრება კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა.

◆ 21 მარტს დანიშნულია წყალში დახრჩობისაგან გადამრჩენელ საზოგადოების წევრთა კრება. ეს კრება მეორედ არის დანიშნული და რამდენიც უნდა წევრი დაესწროს, კრება კანონიერად ჩაითვლება.

◆ უცნაური ამბავი მოჰხდა 14 მარტს მიხეილის ქუჩაზედ, ანჟელო ანდრიოლეტტის სახლში. საღამოს რვა საათზედ ოთხი კაცი მივიდა და სახლში ზარი ჩამოჰკრა. მოსამსახურემ გააღო თუ არა კარები, ოთხივენი შეცვივდნენ სახლში და ეცნენ ანჟელო ანდრიოლეტტის, რაც გაქვს, მოგვეციო, თორემ მოგკლამთო. ანჟელოს შეშინებია შეიარაღებულ ბოროტ-განზრახველებისა და მიუცია 25 მანეთი. ამ დროს მათ ხმაურობა გაუგონიათ კარებთან და გაცვივნულან ქუჩაში. მათ კვალს პოლიციამ ჯერ-ჯერობით ვერ მიაგნო.

◆ 14 მარტს ტფილისის მეეტლეთ კრება ჰქონდათ მამასახლისის ასარჩევად. მამასახლისად არჩეულ იქმნა ბ-ნი ლოსკუტოვი.

◆ ხვალ, 19 მარტს, ალექსანდრეს ბაღში აკურთხებენ რუსის მწერლის ნ. ვ. გოგოლის ძეგლს. ძეგლის კურთხევამდე ამავ ბაღის პატარა ეკკლესიაში სწირავს საქართველოს ექსარხოსი ალექსი.

◆ რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს, მომავალ დღესასწაულებში იმაზედ მეტი საჩუქრები დაურიგოს თავის მოხელეთ, რამდენსაც წინად აძლევდა.

◆ ხუთშაბათს ქართულს თეატრში წარმოადგენენ ჰენ. იბსენის სამ მოქმედ. დრამას „ნორა“-ს ამ წარმოდგენისათვის ქუთაისიდგან მოწვეულია ქ-ნი ნინო ჩხეიძე.

◆ სენატმა განმარტა, შეიძლება იმ ებრაელის გადასახლება, რომელიც ხელოსანია და თავის ხელობას არ ეკიდება და ამასთანავე ამოშლილია ხელოსანთა სიიდანაო.

◆ 23 მარტს ამიერ-კავკასიის საამრეშუმო სადგურის სადგომში დანიშნულია ტფილისის გუბერნიის მებაღეთა კრება.

◆ ტფილისისა, ქუთაისისა, ბათუმისა და ბაქოს ურთიერთო კრედიტის საზოგადოებათა წევრთა კრება დანიშნულია 30 მარტს.

◆ ტფილისის ოლქის სასამართლოს სესიას სხდომები ექმნება ზაქათალაში 24 მარტიდგან 27 მარტამდე.

◆ ვაჟთა მესამე გიმნაზიის მეშვიდე კლასის მოსწავლეთ ამ დღეებში დაწვრილებით დაათვალიერეს რკინის გზის სახელოსნოები.

◆ 22 მარტს სცენის მოყვარულნი „ტფილისის კრუჟოკის“ დარბაზში გამართავენ წარმოდგენას, რომლის მთელი შემოსავალი გადადებულია "იასლი"-ს საზოგადოების სასარგებლოდ. წარმოდგენის შემდეგ გაიმართება ცეკვა.

◆ ამ დღეებში ტფილისის რკინის გზის სადგურიდგან სად. საჯავახოში გაიგზავნა ერთი ვაგონი სამანუფაქტურო და საგალანტერეო საქონელი, ღირებული 11,784 მანეთად. ახლა სადგურ საჯავახოდან ატყობინებენ ტფილისში რკინის გზას, ვაგონი რომ გავხსენით, ცარიელი დაგვხვდაო.

◆ გუბერნატორმა შეუთვალა ქალაქის თავის მოადგილეს ბ-ნ შესტაკოვს, წარმომიდგინე იმ რევიზიის ქაღალდები, რომელიც სამოსწავლო ოლქის მზრუნველისა და დირექტორების განკარგულებით მოჰხდაო.

◆ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის განკარგულებით გამოიცა ინსტრუქცია. ამ ინსტრუქციით უნდა იხელმძღვანელონ იმ დასებმა, რომელთაც დავალებული აქვთ სახელმწიფო გლეხთა მიწების გამიჯვნა. ამ ინსტრუქციით უნდა იხელმძღვანელონ ამ გაზაფხულიდან.

◆ ტფილისის გუბერნატორმა ხელმეორედ მისწერა ქალაქის თავის მოადგილეს, დააჩქარე სახელოსნო სასწავლებლის წესდების პროექტის შემუშავებაო.

◆ ქალაქის საბჭომ ამას წინად გადასწყვიტა აირჩიოს კომისია ცეცხლის მქრობელ რაზმისთვის სადგომის ასაშენებლად. ტფილისის გუბერნატორმა დაამტკიცა ეს გადაწყვეტილება.

◆ კომისიამ, რომელსაც მინდობილი აქვს მცხეთის ტაძრის შეკეთება, გუშინ-წინ, 16 მარტს, დაათვალიერა ადგილობრივ მცხეთის ტაძარი და დაადგინა, მაისში შეუდგეს მის შეკეთებასა.

◆ მეტეხის ციხის ეკკლესია აქამდე ამ ციხის სამზრუნველო კომიტეტის ხელში იყო, ახლა-კი გადავიდა საქართველოს საეპარქიო უწყების განკარგულებაში. ეკკლესია მიწერილ იქნა დარიის მონასტერზედ. ამ ეკკლესიაში, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის დიმიტრის განაარგულებით, ქართულად იქმნება ხოლმე წირვა-ლოცვა. რუსულად წირვა იქმნება მხოლოდ ზოგიერთს შემთხვევებში.

◆ ხმები დადის, საქართველოს ექსარხოსის კანცელარიის მმართველი სხვა ადგილზედ გადაჰყავთო.

◆ როგორც გავიგეთ, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრო ტფილისის საბოტანიკო ბაღის დირექტორს ბ-ნ როლოვს მაისში საზღვარ-გარედა გზავნის იქაურ ბაღების დასათვალიერებლად და შესასწავლად.

◆ 14 მარტს, ჩვენს გაზეთში შეცდომით გვქონდა დაბეჭდილი, რომ ვითომ ჰაჯი-აზიზ იმამოვის საქმე გარჩიოს ქ. ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელ მოსამართლეს. ეს ჰაჯი-იმამოვისა და აგრეთვე ლეიბ ზოლდაკის საქმეა გასარჩევად დანიშნული 18 ამა მარტისათვის. ეს ორი საქმე იმითია საყურადღებო, რომ დამნაშავეთა იმამოვისა და ზოლდაკის ვექილი ბ-ნი ახნაზაროვი არ დაეთანხმა ქალაქის საქიმიო ლაბორატორიის გამოკვლევას, რომლითაც ორივეს ფქვილი უვარგისად არის ცნობილი, და ფქვილის ნიმუშები ქ. ოდესაში გაიგზავნა პატივცემულ ფქვილი, პროფესორ პეტრიაშვილთან ხელ-მეორედ გამოსაკვლევად. პროფ. პეტრიაშვილმა ზოლდაკის არ იცნო უვარგისად, ხოლო ჰაჯი-აზიზ იმამოვის საწყობიდგან წაღებული ფქვილი უკვე წამხდარი აღმოჩნდა. დღეს, 18 მარტს, განსხილველად ორივე საქმეა დანიშნული. დამნაშავეთ ლეიბ ზოლდაკსა და ჰაჯი-აზიზ იმამოვს იცავს ზემოხსენებული კერძო ვექილი ბ-ნი ა. ახნაზაროვი, საქმეს განიხილავს ქ. ტფილისის მესამე განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლის თანაშემწე ბ-ნი კაზერია. ამ საქმის გარემოებას შემდეგ გაცნობებთ ჩვენს მკითხველებს.

რამდენიმე შენიშვნა

„სომეხთა საქმის“ გამო.

II

იყო დრო, როდესაც მცირე აზიელ სომხების ყოფა-ცხოვრება მხოლოდ ოსმალეთის მთავრობას აინტერესებდა და მისი სადარდო იყო. თუ რამ უწესოებას ადგილი ჰქონდა იქ მაშინ, ადგილობრივის მთავრობის თავ-გასულ სიხარბით, ან მეზობელ მაჰმადიანთა ფანატიზმით და ქურთების თავდასხმით, ამას ყველანი, თვით სომხებიც-კი, ოსმალეთის ადმინისტრატიულ სისტემის უვარგისობით ხსნიდნენ, რაიც მარტო სომხობას-კი არ აწვა ტვირთად, არამედ ყველა მკვიდრს ოსმალეთისას, ტომისა და რჯულის განურჩევლად. სომეხთ ყოფა-ცხოვრების ავ-კარგიანობა იმ დროს შინაური საქმე იყო ოტომანის იმპერიისა და სხვა სახელმწიფო ამაში სრულიადაც არ ერეოდა.

ასე იყო ამ 25—30 წლის წინ, ახლა-კი სულ სხვასა ვხედავთ. ერთი უდიდესი და მოწინავე სახელმწიფო ევროპისა—საფრანგეთი საქვეყნოდ აცხადებს, თვის გარეშე საქმეთა მინისტრის პირით, რომ „სომეხთა საქმე“ საერთა-შორისო საქმეაო. (დელკასსეს სიტყვა წელს პარიჟის პარლამენტში). ამას აცხადებს რუსეთის მოკავშირე სახელმწიფო. როგორ მოხდა რომ ეს შინაური საქმე ოსმალეთისა ევროპის საჭირბოროტო საქმედ გარდაიქცა?

ვისაც ჰგონია, რომ ყოველგვარი ისტორიული მოვლენა უთუოდ ამა თუ იმ „შეუცვლელ კანონს ისტორიისას“ ექვემდებარებაო, დიდად საგულისხმო ფაქტად უნდა მიაჩნდეს, რომ ამ მოკლე ხანში,—25 წლის განმავლობაში,—ასე მოულოდნელად ამოცურდა ეს „სომეხთა საქმე“ აღმოსავლეთის პოლიტიკურ ჰორიზონტზე და ასე უცბად ჩაიჭრა ევროპის დიპლომატიაში. ამ ვიღაც პატარა ერს ევროპა თითქმის სრულიად არ იცნობდა; არ იცოდა არც მისი ვინაობა და აწინდელი ყოფა-ცხოვრება და არც მისი ყოვლად უფერული წარსული, სხვის მონობაში გატარებული.

1876 წელს, სწორედ მაშინ, როდესაც მთელი ევროპის საზოგადოება დარწმუნებული იყო ბალკანეთიდგან მოსულ ამბებით, სადაც მაჰმადიანები ჟლეტდნენ და მუსრს ავლებდნენ იქაურ სლავიან ქრისტიანებს, ლონდონში საქვეყნოდ გამოვიდა სტამბოლის სომეხთ პატრიარქატის მოხსენება, ფრანგულად დაწერილი, სავსე მრავალის ჩივილითა და გოდებით იმის შესახებ, თუ რა გაჭირებაში იყო იმ დროს ოსმალეთის სომხობა და როგორ სდევნიდა ყველაფერში ამ ქრისტიან ერს იქაური მაჰმადიანობა და მასთან ერთად ოსმალეთის მთავრობაც. ვინ იყო ამ მოხსენების ავტორი?—სტამბოლის პატრიარქი ნერსესი, არქი-ეპისკოპოსი ხრიმიანი (აწინდელი კათალიკოსი ეჩმიაძინისა) და ცნობილი სომეხთ მოღვაწე მინას ჩერაზი.

როგორც უკვე ვთქვით, იმ დროს ბალკანის სლავიანთა ქვეყნებს ცეცხლი ჰქონდათ მოდებული; ყველა ბრძოლის ველზე იყო გამოსული მტარვალ ოსმალებთან და მორჩილების ტვირთ მძიმე უღელს თავიდამ იგდებდა. ამ გაცხარებულ ბრძოლაში მაჰმადიანები იმარჯვებდნენ და საარაკო მძვინვარებით მუსრს ავლებდნენ ქრისტიანთ. ევროპის საზოგადოება აღელვებული იყო იქიდამ მოსულ გლოვისა და ზარის ხმით; მართავდა მიტინგებსა და მანიფესტაციებს და თხოულობდა, მთავრობა ჩარეულიყო სლავიანთა და ოსმალთ ბრძოლაში. რუსეთიდამ გულ-მოსული მუქარა ისმოდა

რასა შვრებოდა ამ დროს მცირე-აზიის ქრისტიანობა,—სომხობა? სახლში იჯდა და წყნარად შეექცეოდა ბუხრის წინ სჯა და ბაასს ბალკანიდამ მოსულ ამბებზე. ყველა ჰგრძნობდა, რა დიდი განსაცდელი, იქნება მთლად დარბევაც, მოელოდა ახლო მომავალში ოსმალეთის იმპერიას, რომელსაც ისედაც შერყეული ჰქონდა დედა-ბოძი სამეფო სასახლეში მომხდარ შეთქმულობითა და რევოლიუციებით: იმის წინ ჩუმად მოკლულ იქმნა სულთანი აბდულ-აზიზი, გამეფდა მურადი, რომელიც ცოტას ხანში ჰკუაზედ შეიშალა და ტახტზედ ავიდა აბდულ-ჰამიდი. ამ სამეფო სასახლის რევოლიუციებს თან მოსდევდა მინისტრების კვლელობაც და ღელვა-შფოთვა მოწინავე მაჰმადიანობაში. ფინანსიურადაც ძლიერ დაეცა ოსმალეთი და გარეშე სესხის სარგებელს ვადაზედ ვეღარ იხდიდა.

ევროპა დრტვინავდა ბალკანის ამბების გამო, რუსეთი საომრად ემზადებოდა, თვით სტამბოლში-კი ყველა აირ-დაირია.

სტამბოლელ სომხობის მოწინავე დასი, შემდგარი სამღვდელოებისა, ინტელიგენციისა და შეძლებულ სოვდაგრებისაგან, ორად იყო განაწილებული იმ დროს, ომი რუსეთთან თანდათან აუცილებელი ხდებოდა; საომარ ასპარეზად შეიქმნებოდა ბალკანეთი და კავკასიის მოსაზღვრე მცირე აზიის ნაწილი, სომხობით დასახლებული; მაშასადამე რუსეთისა თვის დიდად სასურველი იყო სომხობა თავისკენ მიემხრო რაიმე დაპირებით; ამ მხარეში სომხობას მხარი მიეცა რუსის ჯარისათვის და საომრადაც გამოსულიყო, თუ გაჭირება მოითხოვდა:

გრაფი იგნატიევიც სწორედ ამ მხრივ მოქმედობდა სტამბოლში და დიდ თანაგრძნობას ჰპოულობდა რუსეთის მომხრე დასში. მეორე დასი ამას ეწინააღმდეგებოდა, თვალი ინგლისისკენ ეჭირა, ინგლისის მომხრე დასი უფრო ძლიერი იყო, თუმცა პოლიტიკოსობით არც ესეც სწყვეტდა იგნატიევთან კეთილ ურთი-ერთობას.—და აი, სწორედ ამ დროს, გამოცხადდა ლონდონში სტამბოლელ პატრიარქატის მოხსენება სომხობის აუტანელ ყოფა-ცხოვრებაზე მცირე აზიაში.

გამოცხადდა ომი; კავკასიის ჯარების სარდლებად დაინიშნენ: ლორის-მელიქოვი, ლაზარევი, ტერღუკასოვი, შელკოვნიკოვი და სხვ. იმედიჰქონდათ, რომ, თუ რუსეთს გაუჭირდა, ოსმალეთის მთელი სომხობა აჯანყდება და მხარს მისცემს რუსის მხედრობასაო.

ა. კვერ—ძე.

(შემდეგი იქნება)

ჩვენებური ამბები

ქ. ქუთაისი, 13 მარტს. ქალაქის საბჭო. როგორც იყო, საბჭომ განიხილა და დაამტკიცა 13 ამ თვეს მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა; წელს ქალაქი ელის შემოსავალს 235,141 მან. მეტად ნელი ნაბიჯით მიდის წინ ჩვენი ქალაქის შემოსავალი. ყოველ წლივ ხარჯთ აღრიცხვის განხილვის დროს ამ გარემოებას ჩვენი ხმოსნები ყურადღებას აქცევენ, მაგრამ საქმეს არა ეშველა რა და ძველებურად წელში მოხრილნი და იმედ დაკარგულნი ვწუწუნებთ. ყოველ წლივ თხოულობენ ხმოსნები, ქალაქის სხვა-და-სხვა შემოსავლის საქმე მოწესრიგდეს და იმის მოძრაობას ქალაქისათვის სასარგებლო მსვლელობა მიეცეს, მაგრამ ძველ გზას მაინც ვერ ავშორდით და უკვე გატკეპნილ ბილიკით მივჩანჩალებთ— არც სურვილი გვაქვს ამ ბილიკის გაფართოებისა. რაც ათის წლის წინად წესები იყო, რაც მაშინ ჩვენს მოღვაწეობაში ნაკლულევანებათ ჩაითვლებოდა, დღესაც არსებობს და აფერხებს ჩვენის ბეჩავის ქალაქის წინ-სვლას: არ გვაქვს ძალა მოვახდინოთ სხვა-და-სხვა ცვლილებანი, შრომა ჩვენ გვაშინებს და წაბორძიკებული ქალაქის საქმე ბორძიკით მსვლელობს უიმედოდ და უნუგეშოდ. სამწუხაროდ, საბჭოს შენიშვნები და გარდაწყვეტილებანი მხოლოდ სიტყვებად რჩებიან და სასარგებლოს არაფერს არ წარმოადგენენ. არა ერთხელ შეუნიშნავთ ხმოსნებს, რომ ქალაქის მამულებზე გარდასახადის საქმე კარგად მოწყობილი არ არის და თხოულობდნენ მოწესრიგებას და ქალაქის გამგეობისაგან მეტს ყურადღებას. საუბედუროდ, იმედი დავკარგეთ და ამ შემთხვევაში, ჩვენის აზრით, სანუგეშო არა იქნება-რა: ხარჯთა აღრიცხვის განხილვის დროს საბჭოში ისურვებენ კარგ ნიადაგზე ამ გარდასახადის საქმის დაყენებას, მაგრამ სურვილი სურვილად რჩება და საქმეს-კი არ ეშველება. ხშირად იყო აგრეთვე ბაასი ხმოსნებთა შორის იმის შესახებ, რომ ცხენებზე, ხარებზე და კამეჩებზე გარდასახადი ქალაქს სავსებით არ შემოსდის რომ ქალაქმა დაახლოვებითაც არ იცის მუშა საქონლის რაოდენობა მაგრამ ამას ყური არავინ არ ათხოვა და ქალაქის შემოსავალსაც არა ეშველა-რა, ვერ გაიზარდა.

ბევრჯელ ყოფილა საუბარი იმის შესახებაც, რომ საღორიის ტყეს, რომელიც ქალაქის საკუთრებაა, ჯეროვანი ყურადღება მიექცეს, რომ შეშის აქა იქ აჭრა დიდ ხანს ვერ გასტანს და საჭიროა ამ საგანზე დაფიქრება, მაგრამ ფიქრისა გვეშინია და საღორიის ტყეც თან-და-თან გლახა მდგომარეობაში ვარდება. არავითარი ინსტრუქცია არ გვაქვს შემუშავებული და ვისაც როგორ სურს, ისე განაგებს ქალაქის საქმეებს: არ აქვს ინსტრუქცია ტყის ზედამხედველს, გამგეთ აფთიაქისა, ქალაქის ბიბლიოთეკისა, საავადმყოფოსი და სხვათა, რომელნიც განაგებენ სხვა-და-სხვა ნაწილს ქალაქის უბედობისას. არც სანიტარული, ვეტერინალური, სწავლა-განათლების და ბევრი სხვა საქმე ამ მხრივ ჩვენ არ გვაქვს შესწავლილი და შემუშავებული, ყოველმავე ამან წელსაც მიიქცია ხმოსნების ყურადღება, მაგრამ კაი მთქმელს კარგი გამგონე უნდაო და ამ გამგონეს ძებნაში დიდი ხანია ვართ.

დიდი კამათი გამოიწვია წელს აგრეთვე ქალაქის ხარჯების განხილვამაც. საბჭომ აღნიშნა, რომ პოლიციაზე ქალაქი ბევრს ხარჯავს, მხოლოდ პოლიციელს ქალაქში ვერავინ ვერ ჰხედავს თორემ ქალაქს ისე დაივლი, რომ რთსაც ვერ შეხვდებით. გარდა ამისა, ხმოსნებმა ისიც აღნიშნეს, რომ ცეცხლის მქრობელი რაზმის საქმე ვერ არის კარგად მოწყობილი, რომ ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას ამის მიხედვით გამოითქვა აზრი, რომ ცეცხლის მქრობელი რაზმი დაებრუნოს ქალაქს უკანვე დ̃ ეს საქმე ცალკე მოხსენდეს საბჭოს. ბევრი სიტყვები დახარჯეს ჩვენმა ხმოსნებმა სხვა ხარჯების შესახებაც, ბევრი რამ ხელ-საყრელი წარმოადგინეს, მაგრამ სიტყვები სიტყვებად დარჩება და საქმედ არ იქცევა.

საზოგადოდ მიმდინარე წლის ხარჯთა აღრიცხვა ახალს არას წარმოადგენს.

დ. მ.

რუსეთი

პეტერბურგში საბჭოს ახლად გახსნილმა კრებამ უნდა განიხილოს საყურადღებო საგანი: სასოფლო მეურნეობაში მუშების დაცვა უბედურ შემთხვევათაგან. ამ საკითხის შესახებ სამიწად-მოქმედო სამინისტროსაგან მოხსენებაა წარმოდგენილი, რომელშიაც შემდეგი ზომებია ნაჩვენები: 1) შემოღებულ უნდა იქნას ყველგან სამეურნეო მანქანების მიზეზით მომხდარ უბედურ შემთხვევათა რეგისტრაცია (ჩაწერა); ეს საქმე უნდა მიენდოს საერობო ექიმთ, ის გუბერნიებ-კი, სადაც ერობა არ არის, გუბერნიის საექიმო გამგეობათ. 2) უნდა გააცნონ საერობო დაწესებულებები, სამეურნეო საზოგადოებაია და შეძლებისამებრ კერძო მეურნეთ, როგორ უნდა უზრუნველ ჰყონ მუშები სამეურნეო მანქანების მოქმედებისაგან წარმომდგარ შემთხვევათაგან, როგორი უბრალო სამანქანო მოწყობილებანი არსებობენ ამ შემთხვევათა ასაცდენად. 3) გამოუცხადონ რუსეთის სამეურნეო მანქანათა ქარხნებს, აგრეთვე საზღვარ-გარეთელ ქარხნების წარმომადგენელთ, რომ მათგან გაკეთებულ მანქანებს უნდა ჰქონდესთ ამნაირი მოწყობილობები. 4) უნდა მიენდოს ერობათ სავალდებულო განჩინებათა დადგენა ამ მოწყობილებათა შესახებ. აგრეთვე, თუ სამეურნეო მანქანებით მუშაობის პირობათ გაწესრიგებაა განჩინებათა პროექტი, უნდა მოისმინოს გუბერნიის საერობო კრებამ და შემდეგ სამიწადმოქმედო სამინისტროს გაეგზავნება დასამტკიცებლად.

— პეტერბურგის სამსჯავრომ, ნაფიც მსაჯულთა დასწრებით, განიხილა პავლე კონსტანსკის საქმე, რომელმაც თებერვლის 5-ს ამა 1903 წ. მოიპარა პეტერბურგის წმ. ისააკის ტაძრიდან მაცხოვრის ხატის სამკაული ბრილიანტებით შემკული ოქროს გვირგვინი. კონსტანსკიმ გასტეხა ფანჯარა და შეიპარა ტაძარში. მოპარული ბრილიანტები 40,000 მან. არიან დაფასებულნი. საქმის განხილვას მრავალი ხალხი დაესწრო. სამსჯავრომ მიუსაჯა კონსტანსკის ციმბირის სამადნო სამუშაოში ექვი წლის ვადით გაგზავნა.

— სიმფეროპოლის საოლქო სასამართლომ ერთი საინტერესო საქმე გაარჩია. გაზ „იუსტ. კურიერ“-ის რედაქტორს, დ. ოვსეენკოს, ბრალად ედებოდა ცენზურისაგან აკრძალულ წერილის დაბეჭდვა. ამ წერილში მოთხრობილი იყო, თუ როგორ დაესხა თავს ქუჩაში ბრბო გაზეთის ერთ თანამშრომელს. მთელი საზოგადოება აღელვა ამ შემთხვევამ და რედაქტორი იძულებული იყო დაებეჭდა წერილი, თუმცა იგი ცენზორმა აღკრძალა. ბ-ნმა ოვსეენკომ არ იცნო თავი დამნაშავედ, თანაც არ უარჰყოფდა აღკრძალულ წერილის დაბეჭდვას. ბრალდებულის დამცველი ბ. ტაღალაევი ამტკიცებდა, რომ დაბეჭდილი წერილის შინაარსი არ ეწინააღმდეგებოდა არც ერთ მუხლს საცენზორო წესდებისას. რედაქტორს სრული უფლება ჰქონდა დაებეჭდა ეს წერილი, რომელიც უთუოდ შეცდომით იყო აკრძალული ცენზორისაგან. ცენზორი ადამიანია, და, როგორც ადამიანს, მასაც შეუძლიან შესცდეს. წაკითხულ იქნა ცენზორის ბარათი, რომელშიაც უკანასკნელი ამბობდა, წერილი საცენზურო წესდებას არ ეწინააღმდეგება, მხოლოდ მისი დაბეჭდვა ადგილობრივ გაზეთში შეუძლებლად ვცანიო. აკრძალული წერილი ყველა სატახტო და პროვინციალურმა გაზეთებმა გადაბეჭდა. სასამართლომ მიუსაჯა ოვსეენკოს 10 მან ჯარიმა.

სახალხო განათლების სამინისტრომ გამოსცა სახალხო ბიბლიოთეკისათვის და სამკითხველოებისათვის კატალოგის დამატება. ამ გამოცემაში დაბეჭდილია სამკითხველოების გამგე და ზედამხედველთათვის სახელმძღვანელოდ სხვა-და-სხვა წესები და განკარგულებანი. შიგ ჩართულია აგრეთვე სახალხო ბიბლიოთეკებში გამოსაწერად ნება-დართულ ჟურნალ-გაზეთების სია. სიაში ჩამოთვლილ 72 ჟურნალ-გაზეთის გარდა, ბიბლიოთეკებს შეუძლიანთ გამოიწერონ: ა) ყველა ჟურნალ-გაზეთები, სასულიერო მთავრობისაგან და ცენზურისაგან ნება-დართული, იმ გამოცემათა გარდა, რომელთაც სასულიერო უწყება ბიბლიოთეკებისათვის უსარგებლოდ სცნობს; ბ) მთავრობისაგან გამოცემული ყველა ჟურნალ-გაზეთები, მაგალითად გამოცემული სამინისტროთა, მთავარ-მართებელთა, გუბერნიის და ოლქის გამგეობათა და სხვ. გ) ცენზურისაგან ნება-დართული სპეციალური ჟურნალ-გაზეთები, რომელთაც არა აქვთ სალიტერატურო და საპუბლიცისტო განყოფილება და დამატებანი, შემდეგი შინაარსის: ტეხნიკური, სამეურნეო, სავაჭრო-სამრეწვე-

ლო, საჰიგიენო, საფარმაცევტო, საბეითალო, სასანიტარო, აგრეთვე ჟურნალ-გაზეთები, რომელნიც შეეხებიან სხვადა-სხვა გვარ თავის გასართობს, ნადირობას, მუსიკას, პირუტყვთა მფარველობას, დაზღვევას, მოდას, სატირაჟო და საბაზრო ფასების ცნობის ფურცელნი და განცხადებანი. დამატების უვრცელესი განყოფილება—სიტყვიერებაა: მას 43 გვერდი უჭირავს. ამ განყოფილებაში მოხსენებულია ათასამდე ახალი გამოცემა.

— გამოცხადებულია დადგენილება ოფიცრებისათვის, ცოლის შერთვის შესახებ.

— ფინანსთა სამინისტროს შეატყობინეს, რომ ვიღაც ბოროტ-მოქმედნი ციმბირიდგან დანიის დედა ქალაქს, კოპენჰაგენს, გაგზავნილ ერბოს ხშირად იპარავენ და მის მაგივრად მიწითა, თოვლითა და ქვებით ავსებულ ბოჩკებს სდებენ ვაგონში. სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, დაწვრილებით გამოიძიონ ეს საქმე და მიაგნონ ბოროტ-მოქმედთ.

— უმაღლესად დამტკიცებულია განკერძოებული საბჭო, შინაგან საქმეთა მინისტრის თავმჯდომარეობით, სხვა-და-სხვა კითხვათა გასსახილველად, რომელნიც უნდა გადასწყიტონ ხალხის საზრდოობის წესდების გამოცემისათვის. საბჭოს პირველი სხდომა მარტის 7-ს მოხდა.

— გაზ. „Новость"-ი იუწყება ქ. დუბოსარში მოკლული სოფლის ბიჭის შესახებ. მცხოვრებლები თითქმის ერთხმად აცხადებენ, ებრაელებმა-კი არა, ნათესავებმა მოჰკლეს ეს ბიჭიო, რადგან მისი სამკვიდრო მამულის ხელში ჩაგდება უნდოდათო. ოდესის პროკურორს გამოუკვლევია ეს საქმე და აღმოუჩენია, რომ ებრაელები ტყუილად დაუბეზღებიათ.

მკვლელებს ჯერ-ჯერობით ვერ მიაგნეს.

— ქ. ეკატერინოდარში უკვე დასრულდა პროცესსი ქ. როსტოვში და ტიხორეცკაში მომხდარ უწესოებათა შესახებ. გაამართლეს 6 მუშა, 42—6 თვით დაპატიმრება მიუსაჯეს, ერთს—სატუსაღო განყოფილებაში დაპატიმრება სამი წლით, ორს—$1\frac{1}{2}$ წლით და ერთს —1 წლით.

— სამხედრო სასწავლებელთა უფროსი დიმთავარი კონსტანტინე კონსტანტინეს ძე ამ მოკლე ხანში გაემგზავრება ამ სასწავლებელთა სარევიზიოთ.

— სამხედრო სამკურნალო მთავარ-გამგეობამ აცნობა ყველა სამხედრო-სამკურნალო ინსპექტორებს ხელმწიფე იმპერატორის ბძანება იმის შესახებ, რომ ჯარში და ქ.ქ. პეტერბურგის, მოსკოვის, კიევის, ვარშავის, ოდესის, ხარკოვის, ყაზანის, რიგის, ვილნის და ტფილისის სამკურნალო დაწესებულებებში აგვისტოში, სექტემბერში და ოქტომბერში განთავისუფლებული ადგილები მხოლოდ საიმპერატორო სამხედრო სამკურნალო აკადემიაში კურს დასრულებულთ დაეთმოთ.

უცხოეთი

ინგლისი. ახალშენთა მინისტრ ჩემბერლენის მოგზაურობას სამხრეთ-აფრიკაში ერთი ჩინებული შედეგი მოჰყვა: სრულიად ეპატივათ და განთავისუფლებულ იქმნენ ყველანი, ვინც-კი დაპატიმრებული იყო სხვა-და-სხვა საპოლიტიკო დანაშაულობის გამო. ჯერ კიდევ არავინ იცის, იხსნის თუ არა ჩემბერლენის გავლენიანობა არა-გავლენიან სამინისტროს, რომლის მდგომარეობაც საგრძნობლად შეირყა ამ უკანასკნელ ხანებში. აღულდამიტნი მეტად მოწადინებულნი არიან, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა ახალშენთა მინისტრს დააკისრონ.

ავსტრია-უნგრეთი. მარტის 6-ს ბუდაპეშტში მანიფესტაციები მოხდა ავსტრიის საწინააღმდეგოდ.

„უნგრეთის თეატრში" არდგენდნენ „Gott erhalte"—ჩვეულებრივს პიესას, რომელშიაც გატარებულია საერთო—საიმპერიო პატრიოტიზმი. ამ პიესაში, სხვათა შორის, მღერიან ავსტრიის საერო საგალობელს „Gotte erhalte"-სა და სცენაზედ დადიან ავსტრიის ოფიცრები. ამ უკანასკნელთა როლის აღმასრულებელ მსახიობთ საზოგადოებამ სტვენა დაუწყო. ხელს უშლიდნენ საგალობლის შესრულებასაც: პარტერში მყოფნი ამ დროს კოშუტის სიმღერას ჰგალობდნენ ხმამაღლად. წარმოდგენის დასრულების შემდეგ, ხალხმა თეატრის წინ, ქუჩაზედ განაგრძო დემონსტრაცია. იმ დღესვე სტუდენტებმა ერთს რესტორანში ვენის ვალსი არ შეასრულებინეს დამკვრელთ. პოლიცია არ ჩარეულა საქმეში, რის გამო მანიფესტანტები მალე დაწყნარდნენ და დაიშალნენ.

ოსმალეთი. პორტა, როგორც ყოველთვის, ახლაც აპირებდა მიემართნა ერთგულ მეგობარ გერმანიისათვის და გამოეთხოვნა ოფიცრები თავისს ჟანდარმერიის მოწესრიგებისათვის. უეცრად გავარდა ხმა,—რუსეთი წინააღმდეგობას აცხადებს ინსტრუქტორებად გერმანელ ოფიცრების დანიშვნაზედაო; გერმანიამ სწრაფად გამოაცხადა,—მე თვით არ ვეთანხმები ოსმალეთს და მისს თხოვნას უარვყოფო; უკეთესი იქმნება, ოსმალეთმა ნეიტრალურ სახელმწიფოებს გამოსთხოვოს ოფიცრებიო. ოსმალეთი მართლაც ასე მოიქცა: შვეციიდგან მოითხოვა ოფიცრები.

რეიტერის სააგენტოს სიტყვით,—შვეციის მთავრობა უკვე დასთანხმდა ოსმალეთს—გაუგზავნოს სამი ოფიცერი მაკედონიის ჟანდარმერიის მოსაწესრიგებლად.

გერმანია. გერმანიის ყველა მოკავშირე სახელმწიფოთა შორის მხოლოდ პრუსიასა და ბავარიას ჰსურს იეზუიტთა დაბრუნება.

საქსონიის მთავრობამ გამოაცხადა,—დიდათ გვსურს, ბერლინს ვასიამოვნოთ რაიმე, მაგრამ იეზუიტთა განმაძევებელ კანონის შეცვლა არ შეგვიძლიან: მთელი საქსონია ფეხზედ დადგება, სამეფო სახლის საწინააღმდეგო მოძრაობა დაიწყება, ეს გვაშინებსო. დანარჩენ პატარა სახელმწიფოთა პარლამენტებმაც ასეთივე გარდაწყვეტილება დაადგინეს და მიანდეს თავიანთ წარმომადგენლებს მოკავშირეთა საბჭოში,—გრაფ ბიულოვის კლერიკალურ პოლიტიკას ებრძოლეთო.

იტალია. გაზ. „სეკოლო" იუწყება: რადიკალურ მიმართულების ჟურნალ-გაზეთობა ენერგიულად თხოულობს მთავრობისაგან 40 წლის წინად დადგენილ კონგრეგაციათა საწინააღმდეგო კანონის დაუყოვნებლივ შემოღებას. საფრანგეთიდან განდევნილი ბერთა კრებულნი ესახლებიან რომსა და იტალიის სხვა ქალაქებში, სცდილობენ ხელში ჩაიგდონ ბავშვების აღზრდის საქმე და გააძლიერონ სასულიერო წოდების მოვლენა. ჯერ ეხლაც მთავრობა სუსტია სამღვდელოებასთან საბრძოლველად და სამღვდელოება უფრო რომ გაძლიერდეს, ვერაფერი საქმე მოგვივაო.

ოსმალეთი. სოფიის „დღიურ"-ს ბიტოლიიდან აუწყებენ:

„რეფორმების შემოღების ამბავმა ოსმალეთის მკვიდრნი ქრისტიანენი მეტად გაახარა: ჩვენი აუტანელი მდგომარეობა თუ სავსებით არა, ცოტად მაინც შეგვიმსუბუქდებაო, ფიქრობდნენ საბრალონი. ვალნი, მუტესარიფნი, ქაიმაქარნი და მიუდურნი იწვევდნენ ხალხს ურიდობაზედ, სადაც დიდის ამბით უცხადებდნენ ხალხს ხონთქრის მიერ მოდებულ მოწყალების ამბავს.

ტანჯულმა ხალხმა ძლიერ თავისუფლად ამოისუნთქა, დარწმუნდა რომ ოსმალთა ბარბაროსობას საზღვარი დაედება, რომ ევროპა მოსთხოვს ოსმალეთს ამ რეფორმების განხორციელებას და უსათუოდ გაანთავისუფლებინებს დაპატიმრებულ პოლიტიკურ დამნაშავეთ. მაგრამ არ გაიარა დიდმა ხანმა რომ ის სხივი იმედისა კვლავ გაუქრათ და უფრო ნათლად დაინახეს თვისი უკიდურესი მდგომარეობა.

რეფორმების გამოცხადებისათანავე ხალხს დაჰპირდნენ, რომ, რამდენისამე დღის შემდეგ, დაპატიმრებულ პოლიტიკურ დამნაშავეთ გაანთავისუფლებთო. თებერვლის 12-ს ქალაქს მოაწყდნენ მრავალნი სოფლელნი; მოიყარეს თავი სამმართველოს წინ, გულის ძგერით უცდიდნენ პატიმართა დანახვას, მაგრამ მათი ცდა ამაო იყო... თებერვლის 15-ს ხალხი შეეკითხა ვალის,—როდის გაანთავისუფლებთ პატიმართაო?

ვალიმ იმ წამსვე დეპეშა გაგზავნა სტამბოლში,—რა ვუყოთ პატიმრებს: გავანთავისუფლოთ თუ არაო? თებერვლის თექვსმეტს სტამბოლიდან მოუვიდა პასუხი: „პატიმართა განთავისუფლება არ შეიძლებაო"-ო. ამ სასტიკმა ქცევამ პატიმართა აუარებელი ნათესაობა დიდად აადელვა, რეფორმები მხოლოდ სიტყვითაა შემოღებული და არა საქმითაო, ჩვენ მაგით არაფერ შვებას მოგვცემენ, მხოლოდ გვატყუებენ და დაგვცინიან ქრისტიანებსაო.

თეატრი და ხელოვნება

კვირას 16, ამა მარტს, ტფილისის კლუბის დარბაზში გამართულ იქმნა ყაზბეგის სკოლის სასარგებლოდ რუსულ ქართული წარმოდგენა საკონცერტო განყოფილებით. ქართულად წარმოადგინეს პოტაპენკოს ერთ მოქმედებიანი ვოდევილი „თაიგული", რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ქალთაგან კნეინა ნ. ნაკაშიძისამ, კნიაჟნა ს. ციციშვილისამ, ე. რომანიშვილისამ, მ. ისაკოვისამ და კაცთაგან ალექ. ყანჩელმა და იოსებ ქუთათელაძემ. რუსულად წარმოდგენილ იქმნა ვოლხოვსკის ერთ მოქმედებიანი კომედია „ჟუჟუ". ამ კომედიაში ითამაშეს ქ-ნ ე.ა. ხატისოვისამ, ტ. რ. გალინმა, ა. ვ. ანენსკისამ და კაცთაგან ბ-ნნთ მამინმა, ვეიმანმა და ამალინმა. ორთავე პიესები, განსაკუთრებით რუსული, ჩინებულად ჩაატარეს სცენის ზემოდასახელებულ მოყვარულებმა, რისთვისაც დიდისა და დიდის მადლობის ღირსნი არიან ასეთის საკეთილო საქმის სასარგებლოდ სვინიდისიერ შრომისათვის. საკონცერტო განყოფილებაში იმღერა რუსული რომანსები ქ-ნ ციტოხცევისამ, ხოლო ქართული-კი თავ. ი. ბარათაშვილმა. ბ-ნ სემიგალოვმა ვიოლინოზე ჩინებულად დაუკრა solo. ქ-ნ ციტოხცევისას სასიამოვნო ხმა ჰქონია, რამაც ფრიად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა დამსწრე საზოგადოებაზე. თავ. ი. ბარათაშვილის შესახებ არას ვიტყვით, რადგან იგი ცნობილია, როგორც სასიამოვნო მომღერალი და ამ კონცერტზედაც, რასაკვირველია, ჩვეულებრივად ასიამოვნა საზოგადოება. თავ. ი. ბარათაშვილმა იმღერა თავ. კ. მაყაშვილის ახალი რომანსი რომლის მუსიკა ეკუთვნის ჩვენს ნიჭიერს კომპოზიტორს ანდრია ყარაშვილს.

საზოგადოება ბლომად დაესწრო.

ნარკვევი

გაზ. „Граждан." რედაქტორს თ. მეშჩერსკის, განიხილავს-რა მანიფესტის იმ მუხლს, რომლის ძალით უფლება ეძლევა სხვა რჯულის ხალხს თავისუფლად მისდიოს თავის სარწმუნოებას, საინტერესო ცნობანი მოჰყავს იმის შესახებ, თუ როგორ ავიწროებდნენ რუსეთში სხვა რჯულის მიმდევართ.

ერთმა ოფიცერმა, კათოლიკემ, ისურვა ხელმწიფე ალექსანდრე მე-II-ს სახსოვრად თავის ბაღში პატარა ეკლესია აეშენებინა. ნება არ მისცეს.

ქალ. ს-ში, სადაც მცხოვრებლები კათოლიკენი არიან, ერთად ერთი ეკლესია იყო, ისეთი დაძველებული, რომ თითქმის ინგრეოდა. შვიდი წლის განმავლობაში მცხოვრებლები სთხოვდნენ მთავრობას, ნება მიეცაი მათთვის, აეშენებიათ ახალი ეკლესია. უარზე იდგენ; ბოლოს მისცეს ნება შემდეგის პირობით: ისეთი ეკლესია უნდა აეშენოთ, რომ შიგ მთელ მრევლის მეტი ნაწილი დაეტიოსო.

ქ. № მცხოვრებთ არ მისცეს ნება აღდგომას ლიტანიობა გაემართათ. თუ გსურთ, ლიტანიობა გამართოთ, იმ სიმაღლე ღობე შემოავლეთ ეკლესიას, რომ ხალხმა არ დაგინახოსო.

ყალმუხებს, წყნარ, მშვიდობის მოყვარე ხალხს, რომელსაც რუსეთის მთავრობის წინააღმდეგ თავის დღეში ამბოხება არ მოუხდენია, დაჟინებით სტანჯავდნენ, არ აძლევდნენ ნებას, თავისი ტაძრები აეშენებინათ.

—

ამას წინად მარიამ კონოპნიცკაიას, პოლონელს ბელეტრისტ-ქალს, შეუსრულდა 25 წლიწადი სალიტერატურო მოღვაწეობისა. სახელოვანმა ჰენრიკ სენკევიჩმა ერთ-ერთს პოლონურს ჟურნალში უძღვნა მოკლე წერილი მგოსან-ქალის შემოქმედებას, მის პოეზიის დახასიათებას. მოგვყავს აქ ამ წერილის ზოგიერთი ადგილი:

„მარიამ კონოპნიცკაია მგოსნობს იმ სულიერთა შესახებაცა და ნივთთა შესახებაც, რომელთაც ან არ შეუძლიანთ გაარკვიონ თვისი ყოფა, ან მუნჯნი არიან. ეს იმასა ჰნიშნავს უპირველეს ყოვლისა, რომ, უკეთუ ყველა ჩაგრულსა და ტვირთ-მძიმეს,—მოხუცს, ქვრივს, ობოლს, ვისაც სცივა, ჰშია და სწყურიან, ვინც ტანჯვა-მწუხარებაშია ამ ქვეყნად და ჰგვნესის ბუნებრივ და სოციალურ ვითარების გამო, ან ამა ქვეყნის ძლიერთა გულ-გრილობით; დიაღ, უკეთუ ყველა ამათ შეეძლოთ გამოსთქვან თვისი მწუხარება და ნაღველი, გამოსთქვამდნენ სწორედ მარიამ კონოპნიცკაიას სიტყვებით. იგია კვნესა მათის გულისა ცად-მიმართ და მეოხი მაძლართა წინაშე. ხანდისხან ამ ქალსაც აღუპყრია ზეცად თვალნი, სავსენი ცრემლითა, გულის-წყრომითაც-კი და უკითხნია: რად არის ეს ასე? რად არსებობს ამდენი გაჭირვება, ამდენი კვნესა-წუხილი, ამდენი სასოწარკვეთილებაო? არა ერთხელ ჰქონია ამ გულის-წყრომას ისეთი კილო, რომ კრიტიკას,—სახელდობრ იმ კრიტიკას, რომელიც უფრო სასტიკია, ვიდრე სამართლიანი და გულ-კეთილი,—უსაყვედურნია ავტორ-ქალისათვის, სარწმუნოება ნაკლებადა გაქვს, არ ემორჩილები საბედის-წერო განგებასაო. ამისთანა კრიტიკოსებს ავიწყდებათ, რომ კონოპნიცკაიასავით ღმერთს ეკითხება არა ფილოსოფიური გონება, არამედ მოკლული გული, რომელიც ტანჯვასა და წამებაშია. კრიტიკოსებს ავიწყდებათ, რომ ამისთანა კვნესა საკმაოდ არის, მაგალითად, ძველს აღთქმაში და რომ ეგევე კვნესა ისმის ახალ აღთქმის შემდეგს სიტყვებშიაც: „უფალო, უფალო! რათა დამიტევე მე"?

დიდებული რომანისტი განაგრძობს შემდეგ:

„სიღარიბე, ჩაჭედილი გაჭირვების დარჯაკში, ხშირად იტანჯება უდრტვინველად, უჩივლელად, რადგან ჰგონებს, რომ ყოველივე ასეა დაწესებულიო. მაგრამ, როცა გული მგოსნისა იგრძნობს საყოველთაო ტკივილს, მაშინ საჭიროა ჩივილი და ეგ ჩივილი, ურწმუნოება-კი არა, უფრო ლოცვაა.

დიაღ, მგოსანი ქალი დრტვინავს ხშირად, გულ-მტკივნეულობს, ჰხმობს და მგალობლობს; თავს დასტრიალებს გაჭირვებულთა სადგურს და ქოხმახს დაბად და ქალაქადაო, მაგრამ ის არის უმთავრესი, რომ უფრო გამუდმებით თავს ევლება სოფელს, იმ სოფელს, რომელსაც შეესისხლხორცა და რომელმაც აღზარდა თვისდა სადიდებლადაო. მართალია, ბატონ-ყმობა გადავარდა, მაგრამ გლეხ-კაცი ძველებრ ყმობასა და სიბნელეშია; გლეხ-კაცი ყურ-მოჭრილი ყმაა მიწისა, მოსავლისა და მოუსავლობისა, სამუშაოს შოვნისა და გამოლევისა, ქარისა, წვიმისა, სეტყვისა; ყმაა სიბერისა, ავადმყოფობისა, უბედურ შემთხვევისა, სიკვდილისა. მისის ცხოვრების ძაფი გლახად იხვეწება, მრავალი ხმუჭი და ნასკვი მოსდევს და ხშირად სწყდება უღვთოდ საცოდავად. აი, ყოველისავე ამის აღწერას, ამის დასურათებას ანდომებდა თავისს ძალ-ღონეს მარიამ კონოპნიცკაიაო. და ისეთის ძლიერებით ჰხატავს ყოველსავე ამას, ისეთის ექსპრესიით ასურათებს, რომ ჯერ მისთვის ვერავის უჯობნიაო.

დასასრულ, სენკევიჩი მგოსნობის ნიჭისა და ენის შესახებაცა ლაპარაკობს. ჩვენს მგოსანს ქალს დიდი ნიჭი აქვს საოცრად და სიმართლით ბუნებისა და ადამიანის დასურათებისაო. ეს-კა ხვედრია რჩეულთა, უმთავრესი დროშაა კონოპნიცკაიას პოეზიისაო. მერე განაგრძობს:

ეს კიდევ ცოტაა. რომ დაჰმღერდე გაზაფხულსა, შეამკობდე მაისის ღამეს, უგალობდე მთვარის შუქს, ღამის დუმილს და შეჰხვევდე იისა და იასამნის სუნს,—ბულბულად უნდა იყო დაბადებული. რაც უფრო ფართოდ მოჰხვევს ხელს ცხოვრებას პოეტი, რაც უფრო აღფრთოვანებით უნდა გამოჰხატოს გრძნობა, რაც უფრო ძლიერია მისი სურვილი, მით უფრო მეტი სიმი უნდა ჰქონდეს მის სანთურს. სწორედ ამაზედ ამბობს სლოვაცკი: „მე მინდა, რომ მოქნილმა ენამ გამოსთქვას ყოველივე, რასაც ჰფიქრობს გონება, რომ იგი ხან სწრაფი იყოს და ნათელი, როგორც ელვა, ხან მწუხარე, როგორც ურმული სიმღერა. რბილი, როგორც ჩივილი ფერიასი, მშვენიერი ვით ანგელოზის სიტყვა"...

კონოპნიცკაიას პოეტური ენა შეუდარებელია. მისი ენა თითქო მწყემსის სალამურიაო, ისე ჰკვნესს და სტვენს, თითქო ბულბულიაო, ისე ჰნავარდობს, თითქო არწივიაო, ისე ბობოქრობს, ვით გრიგალი; როცა სოფლის სურათსა ჰხატავს, გეგონებათ ბავშვია, რომელიც სტირისო, გლეხის გოგონაა, რომელიც ალერსით ბაღში იტყუებს ვისმეს, ხან ისეთია, თითქო ჰქუხს და ჰგრგვინავსო.

ეგ ენა ასურათებს შენ, პოლონელო მკითხველო, ასურათებს შენს ქვეყანას და შენს გრძნობას და მუსიკობს შენის მეტყველებით, მუსიკობს ისეთის ძალითა და მშვენებით, რომ შენვე გიკვირს სიმდიდრე მაგ მეტყველებისა. მგოსანმა ქალმა იცის ზედ-მიწევნით შენი დიდებული საღაროცა, იცის, სად და როგორ აწყვია იქ ძვირფასნი თვალ-მარგალიტნი. ამოაქვს ამ საღაროდან ეგ ქვანი პატიოსანნი ორის მუჭით და აბნევს და მიმოჰფანტავს, მაგრამ თან ამრავლებს კიდეც.

თავის წერილს ასე ათავებს ავტორი „ცეცხლითა და მახვილითა"-სი, და Quo vadis-ისა.

წინ წამოგვიყენე მხოლოდ ღირსება და უპირობა ჩვენის მგოსანის ქალის პოეზიისა და შემოქმედობისა. ასეც უნდა მოვქცეულიყავ დღევანდელს დღეს. დღეს ხომ სითვლი და ბედნიერი დღეა? მაგრამ ვინ იცის, იქნება უფრო სამართლიანი საქმე იყოს, რომ ყოველთვის ასე ვიქცეოდეთ, როცა ლაპარაკი ჩამოვარდება ასეთის დიდის ღირსების პოეტებზედა. იგი მძლავრის ფრთების პატრონი ფრინველია, ხე მაღლა ასული მშობლიურს ტყეში, სხივ-ცისკროვანი დილებაა, მგოსანია დიდად მოყვარულის გულისა, ძლიერის სულისა... ამისთანა ადამიანის შემოქმედებას ორიოდე სიტყვით ვერ დაახასიათებ. მაშ, ნება მომეცეს სალამი მივუძღვნა მგოსანს ქალს და პატივი ვცე იმ დროს, როცა მთელად ჩვენი ქვეყანა ჰგრძნობს, რომ მისი პატივის-ცემა მოვალეობაა ჩვენიო.

ნეტავ იმ ქვეყანას, რომელსაც არა ერთი და ორი ჰყავს ან ისეთი ძე, როგორიც სენკევიჩია, ან ისეთი ასული, როგორიც არის კონოპნიცკაია!....

ნარევი და ნაკვესი

წერილების ყუთი საკანტროლო აპარატით. ამ ცოტა ხანში შეერთებულ შტატებში სახმარებლად იქმნება შემოღებული წერილების ერთნაირი ყუთი, რომელიც მავთულით შეერთებული იქმნება საფოსტო დაწესებულებასთან და ელექტრონით მოწყობილი. ეს მოწყობილება ყუთს იმიტომ ექმნება, რომ საფოსტო დაწესებულებამ თვალ-ყური ადევნოს მოხელეებს, ყველა ყუთებიდგან წერილები ამოიღონ.

მოხელე გაადებს თუ არა ყუთს, ამ ყუთის ნომერი მაშინვე ფოსტაში აღიბეჭდება. ამასთან ყუთების გაღება შესაძლო იქმნება მხოლოდ რიგრიგად, ასე, რომ, ვიდრე პირველ ნომრის ყუთიდგან არ ამოიღებს მოხელე წერილებს, მეორე ნომრის ყუთს ვერ გაადებს.

ყუთები აგრეთვე ტელეფონით შეერთებული იქნება ფოსტასთან და ყუთებიდგან წერილების ამომღებელ მოხელეს შეეძლება დაელაპარაკოს ფოსტის დაწესებულებას.

—

მრევლი უმწყემსოდ. „ჩერნიგოვის საეპარქიო უწყებას"-ში მოთავსებულია სია იმ 28 მრევლისა, რომელთაც ამ ჟამად მოძღვარი არა ჰყავთ. ამ ადგილების უმეტესობა 1894 წლიდგან განთავისუფლებულა და ჯერაც არავინაა მსურველი ამ ადგილების დაჭერისა.

რუსეთის გაზეთობა ამ გარემოებას იმითა ჰხსნის, რომ სემინარია-დამთავრებულთა უმეტესობა მღვდლობას გაურბის; იგი მიისწრაფვის უმაღლეს სასწავლებელში, უმთავრესად, საპოლიტეხნიკო, საბეითალო და სატეხნოლოგო ინსტიტუტებშიო.

—

ცივი უარი. სამხრეთ-რუსეთის გაზეთის სიტყვით, უკრაინელ პოპულიარიზატორ-მწერლებს (მეცნიერების საყოველთაო გასაგებად გადამქნელთ) ე. ჩიკალენკოსა და მ. ლევიცკის შუამდგომლობა გაუმართავთ ბეჭდვის მთავარ-სამმართველოს წინაშე, კიევში უკრაინულ ენაზედ პოპულიარულ ჟურნალ „სოფლელი"-ს გამოცემის ნება-რთვის შესახებ. ამ დღეებში მიუღიათ პასუხი,—ბეჭდვის მთავარ-სამმართველომ საჭიროდ არა სცნო ბბ-ნთ ჩიკალენკოსა და მ. ლევიცკის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაო.

—

ხაშურმა—გაათვასა და გაასცრუა ცხინვალიც, გორიც, თელავ-სიღნაღიც და თვით თავისი დედა ტფილისიც. იქ დაარსებულა „წრე" ანუ „კომპანია" სმეულ-ჭამეულებისა. უმთავრესი აზრი „კომპანიის" დაარსებისა არის—ქეიფით დროს გატარება ძველ-მოქმედების სარჩულით: „ხეირი მივცეთ მიკიტანებს". „წრე" ახლად არის შემდგარი და ჯერ 14 კაცისაგან შესდგება. შეუმუშავებიათ წესდებაც, რომელსაც დევიზად აწერია: „შენ იმღერე—მე მიამა, მე დავპირდი—შენ გიამა;" და „მომეცი და ვეღარ მოგეც". წესდების საყურადღებო მუხლებია:

1), სმეულ-ჭამეულების წევრად მიიღება დიდი ღიპიანი, ბოხი ხმიანი, ხილის ხმიანი და მჭახე ხმიანი, რომ სუფრული სიმღერები თვით „კომპანიამ" მოსწყოს.

2) ყოველმა წევრმა უნდა იცოდეს მუხამბაზის ხმა.

8) წევრად მიიღება ისიც, თუ თავის სიცოცხლეში ორიოდესთვის მაინც აუღვია.

11) წევრს უნდა შეეძლოს ნახევარ თუნგიანის ჯიხვით უსვენებლივ დაცლა ღვინისა და 12, ერთი არტალს შეჭმა."

სმეულ-ჭამეულობის წევრს მოეთხოვება იცოდეს, უეჭველად ტოლუმბაშობა, ოხუნჯობა ბალდადური, ლექური; მათთვის ქართული წერა-კითხვა და რუსულის ცოდნა სავალდებულო არ არის, მხოლოდ ქართულ ლაპარაკში ნება ეძლევა წევრს რუსული სიტყვები ჩაურთოს. ეს „წრე" ჩვენ ქართველებისთვის სწორედ მისწრებაა; ის იყო კინაღამ გადაგვავიწყდა და მასთან კინაღამ გადავეჩვიეთ ძველებურს დროს გატარებას და აღმოგვიცენდა კიდეც სანატრელი „კომპანიაც", რომელსაც აზრად აქვს, კვლავ ისევ შეასწავლოს და შეაჩვიოს ქართველებს ძველი ქეიფი. „კომპანიის" წევრნი რიგრიგით კვირაში ორჯელ მართვენ ნადიმს. ნადიმი წევრს უჯდება 25 მანათიდგან 50 მანათამდე. „კომპანიის, კანტორა დიმიტრას დუქნის უკანა ოთახში საქმიანობს შუადღიდგან შუაღამემდე და ზოგჯერ გათენებამდესაც. მაგრამ არა სასიამოვნო ამბავსაც მოგვკარი ყური: ვითომ ხაშურის „წრეს" მალე მოესპობა დღეო; ქართველები არიან, ბოლოს ვერ გაიტანენო და უმაღლესი მთავრობისაგანაც არ არის დამტკიცებულიო.

მამაპიროსელი.

წერილები

რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, თქვენის პატივცემული გაზეთის საშუალებით, უღრმესი მადლობა გამოუცხადო, ვინც კეთილ ინება და უსასყიდლოდ მონაწილეობა მიიღო ჩემ მიერ „კახეთის მოძრავის სცენის" სასარგებლოდ გამართულ წარმოდგენაში, 5 მარტს 1903 წ. სახელდობრ: ქართულ სომხურის სცენის მსახიობთ: ქბ. მ. საფაროვ-აბაშიძეს, ტასო აბაშიძეს, ე. ჩერქეზიშვილს, ქ. ანდრონიკაშვილს და ვ. მელიქოვისას, ბბ. ვ. აბაშიძეს, გ. მესხს, ბ. არუთინოვს, გ. ანანიაშვილს, ზ. საფაროვს და თ. ჩოლოყაშვილს, აგრეთვე ა. სუქიასოვისას და გნ. ე. ჩხეიძეს, რომლებიც ბილეთების გაყიდვაში დამეხმარნენ და ყველა იმათ, ვინც კეთილ ინება და დაესწრო წარმოდგენას. აქვე გარდგვენ ანგარიშს.

ბილეთები გაიყიდა 320 მ. 61 კ. პრემია 15 მ. სულ 335 მ. თეატრის ქირა, მუსიკა და ტანისამოსის შესანახი—154 მ. 8 კ. სუფლიორი, ტანისამოსის ქირა, მოსამსახურე და სხვ. 34 მ.

80 კ. ხარჯი სულ 189 მ. 65 კ. რჩება წმინდა 145 მ. 35 კაპ.

მ. აჯმამუდოვი.

„ივერიის“ ფოსტა:

ქუთაისს. ი. დ—ძეს. თქვენი ორიოდე სიტყვა ბ. „ვიზიტის ავტორს“ არ დაიბეჭდება.

ბ-ნს ძიზიყელს. თქვენი პასუხი არ დაიბეჭდება. —გვეყოფა.

ბ-ნს. თ—ძეს. თქვენი წერილი ვ. დ—იას შესახებ არ დაიბეჭდება.

ქუთაისს. ს. დ—ნს, თქვენი „ვაჰ, ჩვენს გადაგვარება!“ არ დაიბეჭდება.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

15 მარტს.

პეტერბურგი. უწმ. სინოდმა დაადგინა: ძველ საეკლესიო ნაშთთა დასაცვად იმპერიის მონასტრებსა და ეკლესიებში, მოსკოვის საპატრიარქო წიგნთ-საცავში შენახულ იქმნას იმ მონასტრებისა და ეკლესიების სალაროების აღწერილობათა ასლები. ამასთან თვით მონასტრებსა და ეკლესიებში სიძველეთა აღწერილობანი ცალკე უნდა ინახებოდეს, ხოლო ახალ ნივთებისა ცალკე. სიძველეაღწერილობის ასლების შედგენის დროს, ეს ასლები განსაკუთრებულმა კომისიებმა უნდა შეამოწმონ; იმ ნივთების გაცემა, რაც აღწერილობაში იქმნება მოთავსებული, უწმ. სინოდის დაუკითხავად არ შეიძლება.

ათინა. მეფემ დანიის მეფეს მიჰმართა დეპეშით და შეატყობინა—სამწუხაროდ, მონაწილეობას ვერ მივიღებ იმ დღესასწაულებში, რომელნიც კოპენჰაგენს გაიმართება მეფე ქრისტიანეს დაბადებიდგან 85 წლის შესრულებისა გამოო.

მანილია. ამერიკელ მსროლელთა ორი რაზმი თავს დაეცა 200 მეამბოხეს და დაამარცხა ისინი. მსროლელთ მოუკლეს სამი კაცი, ხოლო 11 დაუჭრეს; მეამბოხეთ 45 მოუკლეს.

მონტევიდეო. რევოლიუციონერთა წინამძღოლების კრებაზედ ხელი მოაწერეს სამშვიდობო ხელშეკრულობას.

სოფია. სამინისტროს შედგენა გეშოვს მიენდო; ის დღეს წარადგენს მინისტრების სიას.

ქრისტიანია. სტორტინგის დღევანდელს კრებაზედ, საფინანსო და სადამოჟნო საქმეების გამგემ, როდესაც შეეკითხნენ—როდის შეიძლება შემოღებულ იქმნას გადიდებული სადამოჟნო ტარიფი, რომელიც საყურადღებოა იმის გამო, რომ შეიძლება განსაკუთრებული ხელშეკრულობა დაიდვას გერმანიისა და რუსეთთანაო,—სთქვა, პროექტი უკვე შემუშავებულია და განსახილველად აქვს გადაცემული შინაგან საქმეთა სამინისტროს; იმედი მაქვს, ამ სესიაში წარვუდგინოთ სტორტინგს პროექტი განსახილველადაო.

16 მარტი

ბერლინი. „ბერლ. ტაგ.“-ის სიტყვით, სამხედრო მინისტრის გესლერის სამსახურიდან გადადგომა უნდა ახლო მომავალში მოხდეს. იმის ადგს გოლტცი დაიჭერს.

ვაშინგტონი მთავრობამ განაცხადა, რომ, რადგანაც სენატის წევრებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს ურთიერთობის პრინციპს, როგორც ეს პრინციპი სენატში წარმოდგენილ პირობებში იყო განმარტებული, მთავრობამ გადასწყვიტა, ძალა არ დაატანოს წევრებს ამ პრინციპის მისაღებად; სენატისაგან უარ უარყოფილი პირობები ხელ-ახლად წარდგენილ იქმნებიან დეკემბერში. რუზველტი ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევს ახალ პირობების შესაკვრელად მოლაპარაკებას.

მოსკოვი. ანტრეპრენიორთა და არტისტთა კრებამ დაადგინა: უოველ წლივ თითო სპეკტაკლი გამართონ მოხუც არტისტთა თავ-შესაფარის და არტისტთა შვილების აღსაზრდელ ფონდის სასარგებლოდ.

შანჰაი. ამერიკის წარმომადგენელმა ბანკირთა კომისიაში ჩინეთის მმართველობას ხელის მოსაწერად წარუდგინა მოვალეობა 32,939,025 ვერცხლის ტაელისა პეკინის პროტოკოლის მე-6-სე მუხლის თანახმად.

სოფია. საერო კრების სესია განგრძობილ იქმნა 18 მარტამდე.

ქრისტიანია. სტორტინგმა ერთხმად დაამტკიცა რეზინის კალოშებზე ბაჟის აწევა 80 ორედან ერთ კრონამდე.

17 მარტი.

პეტერბურგი. მარტის 16ს მათი უდიდებულესობის თანადასწრებით აკურთხეს იმპერატორ ნიკოლოზ მე-II-ს სახელობაზედ აგებული ცარსკოსელსკი რეალურ სასწავლებლის შენობა.

სოფია რადგან გეშოვთან მოლაპარაკებამ კაბინეტის შედგენის შესახებ უნაყოფოდ ჩაიარა, მთავარმა ისევ დანევს მიჰმართა. დღეს საკოალიციო კომბინაცების შესახებ ლაპარაკობენ.

მოსკოვი რუსეთის მეურნეთა საზოგადოება შუამდგომელობს, რათა რუსეთში გამართულ იქმნას სალგური წმინდა და დახუჭუჭებულ ბეწვიან (კარაკულის) ჯიშის ცხვართათვის.—განსვენებულმა ჩამომავლობით საპატიო მოქალაქემ ნეოკლანდოვმა იაუზის საავადმყოფოს სადოსტაქრო (საქირურგიო) განყოფილებისა'და ამბულატორიისათვის დასტოვა 250,000 მან. და 100,000 მანეთიც საავადმყოფოსთან არსებული საქველმოქმედო საზოგადოების თავშესაფარისათვის.

კოვნო. მდინარე ნემანისა და ვინდავის მკვლევართა უფროსმა ინჟინერმა შნეტოვსკიმ სრულიად შესაძლოდ სცნო ხელოვნურად შეერთება მდინარე დუბისისა და ვინდავისა, რის გამო ერთი მიტოვებული არხი უნდა გამოიყენონ: გამოკვლევა 1904 წ. დასრულდება. მუშაობას 6 წელიწადს მოუნდებიან გადაწყვეტილია ითხოვონ, რომ მალე განხორციელდეს ეს ფრიად მნიშვნელოვანი განზრახვა, ამნაირად რუსეთიდან გაგზავნილი საქონელი პრუსიას ასცილდება და კიდევ ერთი ახალი გზა გაიხსნება ბალტიის ზღვისაკენ.

მოსკოვი. დითა მოწყალებისთა პეტრე-პავლეს კრებულმა გადასწყვიტა უსასყიდლოდ სამკურნალო შემწეობა აღმოუჩინონ მშობიარე ქალთა. შეიძინენ კარეტებს რომ მით გადაიყვანონ ხოლმე მშობიარე ქალები თივ-შესაფარში.

სტანბოლი. ხონთქარმა მიიღო გუშინ რუსეთის ელჩი ზინოვიევი და გამოუცხადა,—უკვე შეუდგნენ მიღებულ რეფორმათა პროგრამის განხორციელებას, რომელიც ბოლომდე უნდა მიიყვანონო.

სოფია. გეშოვის მეცადინეობა, რომ კაბინეტი შეედგინა, ჯერ-ჯერობით უნაყოფოდ დარჩა; ირწმუნებიან,—ალბად უფრო საკოალიციო კაბინეტი შესდგებაო. როგორც ისმის, კაბინეტის წევრთა შორის მოჰყვება სავოვიც, რაიცა იმას მოასწავებს, რომ ცანკოვის მომხრეთ ხათრი გაუწიეს. პაპრიკოვი მთავარ შტაბის უფროსად დაინიშნება.

მელილია. მთელს არე-მარეს ფეცსა და ალჟირის საზღვართა შორის აჯანყება მოედო. ზღვის პირად მდებარე ოლქების მკვიდრ ქაბილთა უმტესობა მზათაა ტახტის მაძიებელს მიემხროს. მათ იათბირი ჰქონდათ, იმის შესახებ, თუ როგორ მოიქცნენ. უკანასკნელ ცნობებით სულთანის პიძა ჰამზას გარს არტყიან მაძიებლის მომხრენი.

მანილია- ამერიკელ ჯარებთან უკანასკნელ შეტაკების დროს მოკლულ იქმნა მეამბოხეთა გენერალი სან-მიგუელი.

პარიჟი. სენატმა დასტოვა პალატის მიერ დამტკიცებული ბაჟი ნავთისა.

სტამბოლი. კონსულთა მოხსენებიდგან სჩანს, რომ მაკედონიის ადგილობრივ მკვიდრთ თვალსაჩინოდ დაეტყოთ დაწყნარებაო.

პეტერბურგის ბირჟა, 14 მარტს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,72½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98⅜ მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	101 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	95⅜ მყიდ
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	447 წვ. გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	344 წვ. გაყ
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	302¼ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	91 წვ. გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9901 გაყ. (?)
აქციები „ „ „ „	—
„კასპიის ამხანაგობისა.	4210 წვ. გაყ.
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	402 წვ. გაყ.
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	203 წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 სა. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

განცხადება



GRAND PRIX PARIS 1900

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К°

Духи „Бутонъ д'Оръ“

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავდმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

დაიბეჭდა და დაურიგდა ქართულის წიგნის ლა მაღაზიას გასასყიდათ ახალი ქართუ წიგნი

„ჩვენს დედებს“

პედაგოგიური წერილები ალ. ნათაძისა.

ფ ა ს ი 25 კაპ.

ადრესი: ტფილისის სათავად-აზნაურო ლა, ალ. ნათაძეს.

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტ ფ ი ლ ი ს შ ი

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. ს ყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებელი ნივთე ლობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხ წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სუ ნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები —სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხ ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—4)

სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგურში ისყიდება **ჰაჯი იზმაილ-ოღლ** ბაღის ხეხილი: **ვაშლი, მსხალი, ატამი** და სხვა, ორ—ორი და სამ-ასმი წლისან

(2—60—1)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების

გამგეობა აცხადებს, რომ ჰნიშნავს

ს ა მ ს პ რ ე მ ი ა ს

300 მან., **200** მან. და **100** მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოების დასაჯილდოვებლად.

პრემიის პირობა შემდეგია:

1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზ დაუდგმელი.

2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზე არა ნაკლებს.

3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების“ გამგეობის სახე ზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იყოს დაბეჭდი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა: კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პიესა ცნობი იქნება პრემიის ღირსად.

4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება 30 სექტემბერს 1903 წ.

5) „დრამატიულ საზოგადოების გამგეობას“ ორის წლის განმავლობაში განსაკუთ ბული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგ მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7) შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული. (5—უ—1)

ბ ა ლ ა ნ ს ი ტ ფ ი ლ ი ს ი ს ს ა მ ე უ რ ნ ე ო ბ ა ნ კ ი ს ა

1 მარტი 1903 წლისა.

ა ქ ტ ი ვ ი.

		მან.	კაპ.
I. კასა (სახელმწიფო საკრედიტო ბილეთები)		13273	05
II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ. დაწესებ.		14404	37
III. პირობა-დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ.		1000	—
IV. სარგებლიანი ქაღალ. საზოგადოების საკუთვნონი:			
ა) უზრუნველ-ყოფილნი:	1292—76		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი:	7927—	9219	76
V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი		7283	19
VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი		287739	63
VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით		500	—
VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები		1400	—
IX. გირაოთი გაცემული სესხი:			
ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ.	14041—		
ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ.	32748—		
გ) საქონელზედ	24440—		
დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარმ.	7464—	78693	—
XI. დასაბრუნებელი ხარჯი		124	—
XII. მოწყობა და მომართვა		2222	14
XIII. კორესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით (loro)	64326—27		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro)	15160—78	79496	05
XIV. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი		323	44
XV. სხვა-და-სხვა დებიტორები		591	68
XVI. მიმდინარე ხარჯები.		3386	65
XVI. გარდასაცემი თანხა		301	50
ბალანსი		499958	46

პ ა ს ი ვ ი.

		მან.	კაპ.
I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 802 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან		87146	-
II. სათადარიგო თანხა		7608	21
III. შემოტანილი ფული:			
ა) მიმდინარე ანგარიშით	136239—55		
ბ) ვადით	137574—30		
გ) უვადოთ	1650—	275463	85
IV. გარდასაცემი თანხა.		2823	11
V. გარდასახდელი სარგებელი		1570	95
VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა		6	43
VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად		618	—
VIII. გადასაცემად მიღებული თანხა.		1200	—
IX. კორესპონდენტები:			
ა) იმათის ანგარიშით (loro)	27147—66		
ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro)	37280—16	64427	82
X. გადანაღდება თამასუქებისა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილებაში	15750		
სხვა ბანკებში	28380	44130	—
XI. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებისა		3615	29
XII. მიღებული სარგებელი		4297	93
XIII. წმინდა მოგება 1902 წლისა.		7051	66
ბალანსი.		499958	46
პასუხის-მგებლობა 802 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდ.		784314	—
საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება		9700	—
თამასუქები საკომისიოდ.		3951	0

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 марта 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი სარაჯიშვილი.